

ბარათის დაზღვევა

ზარალის დადგომის დროს ბარათის მფლობელის მიერ განსახორციელებელი აუცილებელი პირობა:

ქარდ ფროდის დადგომის შემდგომ:

დაუყოვნებლივ* შეატყობინეთ ბანკს ბარათის საშუალებით არალეგალური ოპერაციის განხორციელების შესახებ და მოითხოვეთ ბარათის დაბლოკვა.

*თაღლითური ოპერაციის ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ბარათის მფლობელი კარგავს სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის უფლებას.

- ბარათის მფლობელს შეუძლია დააფიქსიროს ფროდის ფაქტი ბანკის ნებისმიერ საკონტაქტო ნომერზე.

კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე ბანკს წარუდგინეთ დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის დადასტურების / ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით.

ბარათის მფლობელის მიერ შესაძლო ქმედებები კონკრეტულ სიტუაციებში:

-ნებისმიერი ფორმით და/ან საშუალებებით დაადასტურეთ არალეგალური ოპერაციის განხორციელების დროს ბარათის თქვენთან არსებობა (მაგ: განაცხადეთ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებში, დაადასტურეთ მოწმეების საშუალებით, იმ პერიოდში ბარათით განხორციელებული შესყიდვის (ჩეკების) წარმოდგენით და სხვა საშუალებებით).

-*ინტერნეტ სივრცეში არალეგალური ოპერაციის განხორციელებისას:* ოპერაციის შესახებ შეტყობინებისთანავე დაუყოვნებლივ მიმართეთ პრეტენზიით შესაბამის ვებ-გვერდს, გაარკვიეთ შემთხვევა და შესაბამისი მიმოწერის დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგინეთ ბანკს.

-*საზღვარგარეთ არალეგალური ოპერაციის განხორციელებისას:* უმოკლეს ვადაში მიაწოდეთ ბანკს საერთაშორისო პასპორტი ან საზღვრის გადაკვეთის (ან არ გადაკვეთის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ყველა სხვა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს არალეგალურ ოპერაციას.

1. გამოწვევები სადაზღვევო დაფარვიდან:

4.1. შემთხვევები, რომლებიც არ არის მითითებული დაზღვეული რისკების ჩამონათვალში.

4.2. ზარალი საბანკო ბარათის ან მისი რეკვიზიტების გამოყენებით განხორციელებული ოპერაციების შედეგად, თუ დამზღვევის / დაზღვეულის მოსარგებლეს მხრიდან არ მოხდა ვალდებულებების შესრულება.

4.3. ზარალი, რომელიც გამოწვეულია საკრედიტო დაწესებულების თანამშრომლის უართით, გასცეს ნაღდი ფული, თუ მას არ შეუძლია საბანკო ბარათის ავტორიზება ბარათზე ხელმოწერის იდენტიფიკაციაში ეჭვის შეტანის თუ სხვა მიზეზის გამო.

- 4.4.** ზარალი, რომელიც გამოწვეულია ბარათით ნაღდი ფულის მიღების შეუძლებლობით ან გადახდის განხორციელების შეუძლებლობით საბანკო ბარათის სტოპ-სიაში შეტანის გამო.
- 4.5.** არაპირდაპირი ზარალი, რომელიც წარმოიქმნება საბანკო ბარათის დაკარგვის / დაბლოკვის შედეგად [დამატებითი გადასახადი ნაღდი ფულის გამოტანაზე, რომელიც საბანკო ბარათის ხელშეკრულებით კლიენტს არ ერიცხებოდა, ფასდაკლებების მიღების შეუძლებლობა, იმ ორგანიზაციების მომსახურების მიღების შეუძლებლობა, რომლებიც იღებდნენ გადახდებს დაკარგული / დაბლოკილი საბანკო ბარათით].
- 4.6.** ზარალი თანხის დაბლოკვის გამო, როცა ბარათის მფლობელმა უარი თქვა შენაძენზე, ხოლო ავტორიზაცია გაუქმებული არ იყო.
- 4.7.** ზარალი საბანკო ბარათის გამოყენების გამო, როცა ასეთი ბარათი საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული იყო ბანკსა და კლიენტს შორის ხელშეკრულების დადების გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული იყო ახალი ბარათი ადრე გაცემულის სანაცვლოდ.
- 4.8.** ზარალი, რომელიც დადგა ბარათის მფლობელის [ან/და იმ პირების მიერ, რომელთაც საბანკო ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდათ ბარათის გამოყენების უფლება] თაღლითური ან სხვა უკანონო ქმედებების შედეგად.
- 4.9.** ზარალი, რომელიც დადგა ბარათის მფლობელის მიერ ამ ბარათის ან მისი მონაცემების მესამე პირებისთვის ნებაყოფლობით გადაცემის შედეგად, თუ ასეთი გადაცემა მიზნად ისახავდა მესამე პირის მიერ ბარათის მოხმარებას ან განკარგვას.
- 4.10.** თუ დამზღვევი / ბარათის მფლობელი / კლიენტი უარს აცხადებს ზარალის მიზეზის და გარემოებების გარკვევის მიზნით შესაბამ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობაზე.
- 4.11.** ზარალი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული ომთან ან საომარ ქმედებებთან, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა ომი გამოცხადებული, სამოქალაქო ომთან, აჯანყებასთან, რევოლუციასთან, სამოქალაქო მღელვარებებთან, სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის შემოღებასთან, ხელისუფლების უზურპაციასთან, კომენდანტის საათის შემოღებასთან, ხელისუფლების ქმედებებთან.
- 4.12.** ზარალი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული რადიაქტიურ დაბინძურების გამო წარმოქმნილ მაიონიზირებელ რადიაციასთან.
- 4.13.** ზარალი, რომელიც დადგა სახელმწიფო ორგანოების განკარგულებით საბანკო ბარათის და/ან მასთან მიბმული ანგარიშის წართმევის, კონფისკაციის, რეკვიზიციის ან განადგურების შედეგად.
- 4.14.** ზარალი, რომელიც დამზღვევს / მოსარგებლეს აუნაზღაურდა ზარალზე პასუხისმგებელი პირის ან ნებისმიერი სხვა მესამე პირის მიერ.
- 4.15.** ბარათის მფლობელის უხეში გაუფრთხილებლობით დამდგარი შემთხვევა.
- 4.16.** ზარალი, რომელიც დადგა ბანკის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად.
- 4.17.** დამზღვევის / დაზღვეულის / მოსარგებლის / მიერ მზღვეველისათვის მიწოდებული რომელიმე ინფორმაცია ან და დოკუმენტაცია აღმოჩნდება ყალბი.
- 4.18.** დამზღვევი / დაზღვეული / მოსარგებლე / კომპენსაციას მიიღებს ზარალზე პასუხისმგებელი ან რომელიმე სხვა მესამე პირისგან.